

# *ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია*

## *სატენდერო დოკუმენტაცია*

*ქალაქ მცხეთაში სამხედროს ქ.N13-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები.  
ქალაქ მცხეთაში აღმასენებლის 47-ის მიმდებარედ არსებული სკვერის მოწყობის  
სამუშაოები*

2017 წელი

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – „სისტემა“) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად, ამავე წესის 26<sup>რ</sup> მუხლით დადგენილი სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერის ჩატარების განსხვავებული წესით.

1.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მონაწილე პირი უცხოეთის მოქალაქეა ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირია აუცილებლობას წარმოადგენს წარმოდგენილი იქნეს პირის ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები რომლებიც დამოწმებული უნდა იქნას, ამისათვის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საელჩო, საკონსულო და/ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო).

1.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი და/ან ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში, ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.4 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.5 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება

## 2. შესყიდვის ობიექტი:

- ქალაქ მცხეთაში სამხედროს ქ.N13-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. აღნიშნულ სამუშაოზე წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 64000 (სამოცდაოთხი ათას) ლარს.
- ქალაქ მცხეთაში აღმაშენებლის 47-ის მიმდებარედ არსებული სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. აღნიშნულ სამუშაოზე წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 26000 (ოცდაექვსი ათას) ლარს.

### 2.1 სამუშაოს შესრულების ვადები.

ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვე.

### 2.2 სამუშაოს შესრულების ადგილი:

ქალაქი მცხეთა.

## 3. ტექნიკური პირობები:

1. შესრულებული სამუშაო უნდა იყოს ხარისხიანი და მიმწოდებლის მხრიდან უნდა გავრცელდეს საგარანტიო ვადა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 წელი, რომლის დროსაც ექსპლუატაციის პირობებში მიღებული (არა მექანიკური) დაზიანებების აღმოფხვრა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი სახსრებით.
2. სამუშაოს შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია, საჭიროებისამებრ, მოითხოვოს შესაბამისი სერტიფიკატი მშენებლობის პროცესში გამოყენებულ მასალებსა და მოწყობილობებზე.
3. მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით.
4. სატენდერო წინადადებაში ერთეულისა და საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს მხოლოდ ლარებში, შეიცავდეს სამშენებლო სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, ექსპერტიზის ხარჯებს.
5. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება
6. გადახდის წინასწარი მექანიზმი (ავანსი) არ გამოიყენება.
7. საბოლოო მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით.
8. საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებამდე მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა გაცემული ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის/ორგანიზაციის მიერ, რომლითაც დადგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა და ღირებულება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციასთან (ხარჯთაღრიცხვასთან, თანდართულ ნახაზებთან, ესკიზებთან და სპეციფიკაციებთან); ექსპერტიზის თანხა გადახდილი იქნება მიმწოდებლის მიერ.
9. წინადადების წარდგენის დღისათვის მიმწოდებელი არ უნდა იყოს რეგისტრირებული შავ სიაში.
10. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო

შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (ე), (რ) ან (ტ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

11. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა ან/და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატენდერო წინადადება შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლის შემდგომი წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე. პრეტენდენტმა აღნიშნული დაზუსტება უნდა წარმოადგინოს შემსყიდველის მიერ შეტყობინებისგან ზავნიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში.

12. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაეჭვებინება არც ანაზღაურებას.

13. თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და სხვა აკრედიტებული პირის/ორგანიზაციის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. ზემოხსენებული დასაბუთების ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენლობა გამოიწვევს შესაბამისი მიმწოდებლის დისკვალიფიკაციას;

14. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს 2014 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 აპრილის ჩათვლით მის მიერ (ქვეკონტრაქტორის გარეშე) შესრულებული სკვერის მოწყობის სამუშაოების, სამშენებლო სამუშაოების (CPV45200000) და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე (CPV45300000) 300 000 ლარის გამოცდილება. აღნიშნული გამოცდილება წარმოდგენილი უნდა იყოს შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებებით და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით.

15. შემსყიდველი ორგანიზაციისაგან, პრეტენდენტის მიერ შესრულებული ანალოგიური, **სკვერის მოწყობის სამუშაოების** შესახებ 1 ან მეტი დადებითი რეკომენდაცია, რეკომენდაციაში უნდა იყოს მითითებული, თუ რამდენად ხარისხიანად, სრულად და დროულად შეასრულა მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. რეკომენდაცია უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

**პრეტენდენტებს ვისაც ანალოგიური- სკვერის მოწყობის სამუშაოები შესრულებული აქვთ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით რეკომენდაცია არ მოეთხოვება.**

**4. პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დანართი №1 კომპანიის (რეკვიზიტები), ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ;

ბ) ხარჯთაღრიცხვა, ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ;

გ) სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი, მოცულობების მიხედვით გაწერილი ვადებით;

დ) შემსყიდველი ორგანიზაციისაგან, მის მიერ შესრულებული სკვერის მოწყობის სამუშაოების შესახებ 1 ან მეტი დადებითი რეკომენდაცია, რეკომენდაციაში უნდა იყოს მითითებული, თუ რამდენად ხარისხიანად, სრულად და დროულად შეასრულა მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. რეკომენდაცია უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში),

ე) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს 2014 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 აპრილის ჩათვლით მის მიერ (ქვეკონტრაქტორის გარეშე) შესრულებული სკვერის მოწყობის სამუშაოების, სამშენებლო სამუშაოების (CPV45200000) და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე (CPV45300000) 300 000 ლარის გამოცდილება, რაზედაც პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შესაბამისი სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: (ხელშეკრულებები და წარმოდგენილი ხელშეკრულებების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები ; ვ) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

## 5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები.

*პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარადგინოს ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭების ეტაპზე, სატენდერო წინადადებასთან ერთად, სისტემის მეშვეობით.*

### ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

ბ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმის წარმოება.

ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (ლ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის, სტატუსი - „წინადადებების მიღება დაწყებულია“, დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს აღნიშნული ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი კალენდარული დღისა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვალის N2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესი და პირობების“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლები თავისუფლდებიან ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების შემსყიდველისთვის წარდგენისგან.

იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, შემსყიდველი ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის (გ) ქვეპუნქტის საფუძველზე.

## 6. ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)

- პრეტენდენტი ვალდებულია, წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი (საჭიროების შემთხვევაში, ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა ან რწმუნებულება) ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.
- სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემდეგ, პრეტენდენტს უფლება აქვს, ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი დროის დასრულებამდე, მხოლოდ ერთხელ შეამციროს მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ფასი არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობით. ამავდროულად, სატენდერო წინადადების ფასის შემცირებასთან ერთად, პრეტენდენტი ვალდებულია, სისტემაში ატვირთოს შეცვლილი ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა (განფასება). ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები არ იმართება.

ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ით ან მეტი სხვაობის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის/ორგანიზაციის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უნდა უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით და წარადგინოს ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭების ეტაპიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში დასკვნის წარმოდგენლობის შემთხვევაში პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.

## 7. სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან (დაზუსტების გარეშე):

ა. თუ არ იქნება წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია შემსყიდველი ორგანიზაციისაგან, პრეტენდენტის მიერ შესრულებული სკვერის მოწყობის სამუშაოების შესრულების შესახებ 1 ან მეტი დადებითი რეკომენდაცია, რეკომენდაციაში უნდა იყოს მითითებული, თუ რამდენად ხარისხიანად, სრულად და დროულად შეასრულა მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. რეკომენდაცია უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

ბ. თუ საერთოდ არ იქნება წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია გამოცდილების შესახებ - პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს 2014 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 აპრილის ჩათვლით მის მიერ შესრულებული სკვერის მოწყობის სამუშაოების, სამშენებლო სამუშაოების (CPV45200000) და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე (CPV45300000) 300 000 ლარის გამოცდილება, რაზედაც პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შესაბამისი სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: (ხელშეკრულებები და წარმოდგენილი ხელშეკრულებების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები;

გ. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.

დ. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

## 8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8.3 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ



წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა N2 ან/და ფორმა N3) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8.4 შემსყიდველი იტოვებს უფლებას ყოველი ფორმა N2-ის წარმოდგენის შემდეგ არ აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულების არაუმეტეს 10% და ანგარიშსწორება მოახდინოს საბოლოო ექსპერტიზის დასკვნის და მიღება-ჩაბარების წარმოდგენის შემდეგ.

8.5 საბოლოო მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და საექსპერტო აკრედიტაციის მქონე ორგანიზაციის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, რომლითაც დგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციასთან (თანდართულ პროექტთან, მოცულობებთან, ხარჯთაღრიცხვასთან, ნახაზებთან, სპეციფიკაციებთან).

ექსპერტიზის თანხა გადახდილი იქნება მიმწოდებლის მიერ.

**9. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისგან: ეკატერინე ასიტაშვილი ტელ: 599990222, ასევე პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია, გოგი აბუაშვილი 551118 418**

## ხელშეკრულება N

ერთის მხრივ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ ნემსიწვერიძის სახით და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“) დირექტორის ----- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა, „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილი №9 „ ბრძანებისა, სხვა მოქმედი სამართლებრივი ნორმების და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **SPA**----- ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

### მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი და შესასრულებელი სამუშაოების აღწერა

- 1.1 ქალაქ მცხეთაში სამხედროს ქ.N13-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები.
- 1.2 შესყიდვის კატეგორია CPV45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები.
- 1.3 სამუშაოები შესრულებული იქნება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში დადებული ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.4 „მიმწოდებელმა“ სამუშაოების დასრულების შემდეგ, საკუთარი შესაძლებლობით და სახსრებით უნდა გაანთავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

### მუხლი 2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

- 2.1 სამუშაოების შესყიდვის ღირებულება შეადგენს ----- (------) ლარს.
- 2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების სრულყოფილ შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახდელს.

### მუხლი 3. სამუშაოების შესრულების ვადა და ადგილი

- 3.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით განსაზღვრული სამუშაოები დაასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვეში, 2017 წლის -----.
- 3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქალაქი მცხეთა

### მუხლი 4. გარანტია

- 4.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები შესრულებული იქნება ხარისხიანად, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
- 4.2 სამუშაოების დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში „ მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ნებისმიერი გამოვლენილი(არა მექანიკური) წუნი თუ დეფექტი.
- 4.3 სამუშაოების დასრულების შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმწოდებელი წარმოადგენს საგარანტიო წერილს.
- 4.4 საგარანტიო ვადის განმავლობაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30(ოცდაათი) დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.
- 4.5 თუ „მიმწოდებელი“ საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან 30 (ოცდაათი) დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.



## **მუხლი 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან. ამასთანავე, მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი მასალების ხარისხი.

5.2 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ზედამხედველობის სამსახური..

5.3 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელონ მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.5 გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.6 მიმწოდებელმა სამუშაოების წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი.

5.7 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელონ ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

## **მუხლი 6. ანგარიშსწორება**

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა N2 ან/და ფორმა N3) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.4 შემსყიდველი იტოვებს უფლებას ყოველი ფორმა N2-ის წარმოდგენის შემდეგ არ აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულების არაუმეტეს 10% და ანგარიშსწორება მოახდინოს საბოლოო ექსპერტიზის დასკვნის და მიღება-ჩაბარების წარმოდგენის შემდეგ.

6.5 საბოლოო მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და საექსპერტო აკრედიტაციის მქონე ორგანიზაციის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, რომლითაც დგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციასთან (თანდართულ პროექტთან, მოცულობებთან, ხარჯთაღრიცხვასთან, ნახაზებთან, ესკიზებთან და სპეციფიკაციებთან).

ექსპერტიზის თანხა გადახდილი იქნება მიმწოდებლის მიერ.

**მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

7.1 სამუშაოს მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდგომ, შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა №2 რომლითაც დგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციასთან.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი პირების დასწრებით, მათ მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.3 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლზე, ტექნიკურ ზედამედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური და მერის ბრძანების საფუძველზე განსაზღვრული პირი/პირები.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებული მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელი თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ე მეტი ოდენობით გაზრდა.

**მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

9.1 მხრეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, \_ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ჯარიმის სახით დაეკისროს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის გადახდა.

9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს ან/და არაჯეროვან ასრულებს ამ ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრი ვალდებულებებს, მათ შორის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში, რაც დადასტურდება შემსყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოების დარღვევად და

შესაძლებელია შემსყიდველის მიერ ეს განხილული იქნეს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლად.

9.6 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

- ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- ბ) „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.7 როგორც შემსყიდველისათვის ისევე მიმწოდებლისათვის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც ექსპერტს დასჭირდება დასკვნის გასაცემად.

## **10. მხარეთა უფლება - მოვალეობანი**

10.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

### **10.2 შემსყიდველი ვალდებულია :**

- ა) დროულად და კეთილსინდისიერად შესრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
- გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება, წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად.
- დ) წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

### **10.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:**

- ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- ბ) ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს;
- გ) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

### **10.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

- ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- ბ) სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;
- გ) სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები ან/და შეცვალოს უხარისხო მასალა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
- დ) მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოებს და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;
- ე) სამუშაოების დასრულებიდან 1 (ერთ) წლის განმავლობაში რაიმე სახის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული ნაკლოვანება, დეფექტი გამოწვეულია მისი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული ნებისმიერი გამოვლენილი წუნი თუ დეფექტი.

ვ) მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

### **მუხლი 11. სუბკონტრაქტორები**

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

### **მუხლი 12. ფორს-მაჟორი**

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუფრთხილოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### **მუხლი 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების შედეგად შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართონ დავების განხილვის საბჭოს და საქართველოს სასამართლოს.

### **მუხლი 14. გამოყენებული სამართალი**

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მუხლი 15. შეტყობინება**

15.1 მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება ქართულ ენაზე.

15.2 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად,

უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის, დეპეშის, ტელექსის

ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.3 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

#### **მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

16.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხ) ეგზემპლარად, 4 (ოთხივეს) აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ერთი პირი მიმწოდებელთან, ხოლო სამი პირი შემსყიდველთან.

16.2 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის ---- ----- ჩათვლით.

16.3 ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2,4.4,4.5 პუნქტები ძალაშია სამუშაოების მთლიანი საგარანტიო ვადის განმავლობაში.

16.4 ხელშეკრულებას თან ერთვის და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს:

16.5.1 ტექნიკური პირობა;

16.5.2 სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი.

16.5.3 სატენდერო წინადადება.

16.5.4 ხარჯთაღრიცხვა

*შემსყიდველი:*

*მიმწოდებელი*

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

პრეტენდენტის ხელმოწერა -----